

რედაქცია

მოდინის (აბასაბატის) მედანზე, შორღანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მედიკიშვილის სტამბაში. შალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисѣ. ВЪ редакцію газеты „Дროება“.

გაზეთის ღირებულება

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შურტი.

დროება

გამოდის კვირარაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით


განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ცუხულს ენებზე.

განცხადების ღირებულება

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა და დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება



ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

შეიძლება: თვილისში, რედაქციის კანტორაში (აღრესი გაზეთის სათაურში ნახეთ) და გარეშე შალაქში — „დროების“ აგენტებთან.

შესანიშნავი წლის გაზეთისა (ი. ი. 1 ივლისიდან ვიდრე 1876 წლის 1 იანვრამდე) გაგზავნილ და გაუგზავნელად — 4 მან. და 50 კაპ.

საქართველო

სამანქანო სემინარია

თუ მკითხველს ცოტაოდნით მაინც უფრო უდევნებია იმ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილის კორრესპონდენციებისათვის, რომლებშიაც სასოფლო-სოფლო-სოფლის მდგომარეობაზე იწერებოდნენ, ის გაიგებდა — თუ რა საწყალო მდგომარეობაში არიან ეს სოფლები.

შენიშნულია, რომ ყველგან, სადაც კი იხსნება ჩვენში სასოფლო-სოფლო, ხალხი დიდს ხალისითა გზავნის თავის შეილებს. იმერეთის ხალხის სურვილი და ლტოლვილება სწავლისადმი მაინც განსაკუთრებით შესანიშნავია. სიღარიბისაგან შევიწროებული ხალხი არავითარ ღონისძიებას არ ზოგავს, უკანასკნელ-გროვს აძლევენ, ოღონდ კი სოფლა გახსნან და შეილებს ასწავლონ რამე. შეხედე შეველა, უქუდო გლეხის ყმაწვილები ორი-სამი ვერსიდან დაიარებიან სოფლებში...

მაგრამ ამასთანავე ისიც შენიშნულია, რომ ლტოლვილები და თანაგრძნობა სოფლისა სოფელში დიდ-

ხანს ვერა სძლებს: სამი-ოთხი წლის შემდეგ, გლეხები როგორღაც გულგრილად დაუწყებენ სოფლას უფრებასა და ბოლოს საქმე იქამდე მიდის, რომ სოფლის ფულს, ისე ძლიერ, ძალა-უნებურად, უფროსების ბრძანებით და არა თავის სურვილით.

რა არის ამის მიზეზი? რისგან არის, რომ ხალხი ჯერ თვითონ კდილობს სოფელში სოფლის გახსნას, უკანასკნელ საშუალებას არ ზოგავს ამისთვის და ბოლოს კი ასე უფრილდება გული?

ძნელი არ არის ამის გაგება. პირველი და უმთავრესი ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ სოფლა ჯერჯერობით სრულებით ვერ აკმაყოფილებს ჩვენი გლეხის მოლოდინსა. სამი-ოთხი წლის შემდეგ გლეხი-მამა ხედავს, რომ იმის შეილი ისეთივე პატარა მხეცია, ისეთივე უსწავლელი და თითქმის ანბანის უცოდნელი, როგორც სოფლაში შესვლამდე იყო.

სამი წელიწადი მოაძვინა გლეხმა თავის შეილი სოფლის მუშაობას, სამი წელიწადი იმ იმედით იყო, რომ მცოდნე და ოჯახის დამხმარებელი შეილი გამოეზრდება და ბოლოს

ვერაფერს ნაყოფს ვერა ჰხედავს, ანუ უკეთა ესთქვათ, ჰხედავს, რომ იმი შეილმა სულ ტყუილ-უბრალოთ დაჰკარგა დრო.

ჩვენი სოფლის სკოლების მომეტებულ ნაწილში ისეთი მასწავლებლებია ახლა, რომ ამაზედ მეტა არაფერს არ უნდა მოველოდეთ. ბარდამდგარი სალდათებისა, უნტერ-აფიცრებისა და მწერლებისაგან მეტს რას უნდა ველოდეთ?

სადაც კარგი მასწავლებელია, იქ სოფლაც რიგიანათ მიდის. სადაც მასწავლებელი პატიოსნათ და საქმის ცოდნით ასრულებს თავის მოვალეობას, იქ ყმაწვილებიც სწავლობენ რასმე და გლეხებიც მადლიერნი და კმაყოფილნი არიან.

მაგრამ, საუბედუროდ, ამისთანა სკოლები ძალიან ნაკლებათ არის ჩვენში...

აი, ამიტომაც დიდს სიამოვნებით წაგიკითხეთ „მმართველობის მოამბეში“ „ღებულება ძავეკასის აქეთა მხრის სამასწავლებლო სემინარიისა“, რომელიც „შმაღლესად დამტკიცებულია ამ წლის 8 აპრილს. ეს „ღებულება“ წინანდელ „დროების“ ნომერშია გადმობეჭდილი.

სხვათა შორის, ერთი ისეთი მუხლია ამ „ღებულებაში“, რომელსაც ჩვენი სასოფლო-სოფლისათვის, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ რიგიანათ შეასრულეს. ჩვენ ვამბობთ მეოთხემუხლზე, რომლის ძალითაც „პრაქტიკულ სავარჯიშებელად აღზრდაში და სწავლებაში სემინარიაში იქნება სამი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი: რუსული, ქართული და სომხური.“

იმედი გვაქვს, რომ ეს სემინარია გაამრავლებს ჩვენში რიგიანი მასწავლებლების რიცხვსა და მით უნდა რიშო სარგებლობას მოუტანს ჩვენი უმეტესი ხალხის განათლებას...

ს. მესხი

სემინარიაში და გლეხობაში

ბევრჯელ დაესწრებივარ ღეთის-მეტყველების კლასის მოწაფეების ბაასს; ბევრჯელ მინახამს, რომ ისინი ყოფილან შეკრებილნი ერთად, ჰქონიანთ გაცხარებული საუბარი თავიანთ მომავალ ცხოვრებაზედ და უდგენიანთ მომავალი მოქმედების წესები.

ამ ბაასს ისეთი კეთილ-საიმედო შთაბეჭდილება მოუხდენია ჩემს გულზედ, რომ უნებურად მითქვამს: „ნეტა იმ სოფლებს, რომლებშიაც თქვენ იქნებით მღვდლებათ! ნეტა იმ ხალხს, რომლის ეზოსაც თქვენ შელახამთ; არა მგონია, იმას გაუჭირდეს რამე; არა მგონია, იმან კიდევ დიდხანს დაჰყოს ღარიბ ცხოვრებაში და გონების სიბნელებაში!“

მართის მოწაფისაგან მესმოდა:

„არა, ჩემო ძმებო, მე რომ მღვდელი ვიქნები, ისე არ მოვიტყევი, როგორც გზნანდელი ბევრი მღვდლები იქცევიან: ხანდისხან საღმრთო წესების შესრულების მეტს არას აკეთებენ; ცხოვრებას სულ უსაქმობაში ატარებენ, არ შედიან ხალხის მდგომარეობაში, არ ფიქრობენ მის ცხოვრების გაუმჯობესებაზედ; იმათი ფიქრი ის არის მარტო, რა კმონ და რა სენა, — რო-

ფელტონი

ქველავური აგება

ლ ა ნ დ ი ა — ხ უ რ ა

მეფე სოლომონ პირველის დროს, რაჭის საერისთვოში ცხოვრებდა ერთი გლეხი, გვარათ ლანდია. ეს გლეხი ძრიელ მამულის-მოყვარე კაცი იყო და სულ იმას ფიქრობდა, თუ რაზარი საშუალება მიეღო, რომ როგორმე მოხმარებოდა თავის ქვეყანას. ჯარში ემსახურა? მართი, რომ მუდამი ჯარი არ ჰყოლიათ, გაჭირვების დროს ყოველი კაცი, დიდი და პატარა, ყველა მეომარი იყო და სხვა სამსახური თუ რამე იყო, თავად-აზნაურები იყვნენ ვალდებული აესრულებიათ. სხვა რა შეეძლო?

ლანდია ჰხედავდა, რომ იმოდენზე

გართული იყო ეს პატარა ქვეყანა, სამხედრო საქმეში, რომ სხვა და სხვა მძვინვარე მტერისაგან თავი დაეცვა, რომ რიგიანი მოხელე იშვიათად მოიპოვებოდა, რომ ცოდნოდა რამე ხელოვნობა, თავის იარაღის და თოფის წამლის გაკეთების გარდა. ასე გაშინჯეთ, რომ-ბევრ თავად-აზნაურს იპოვნიდით, რომელთაც კითხვა და წერა არ იცოდნენ.

მაგრამ ძვირად შეხედებოდათ იმისთანა ყმაწვილ კაცს თავად-აზნაურთაგანს და გლეხებსაც, რომ გლოვობა და სხვა და სხვა ძილის-პირები არ ცოდნოდეს. რასაკვირველია, ძილის-პირები რომ ცოდნოდათ, სამღვდელთა წერილში განვითარებული უნდა ყოფილიყვნენ.

სამოქალაქო წერა და კითხვა საზოგადოათ გახმირებული იყო აღრე უფრო ქალებში. ბლებებშიაც ძვი-

რად მოიპოვებოდა წერა-კითხვის უცოდინარი ქალი.

ამას გარდა ძვირათ იქნებოდა იმისთანა ქალი, რომ სამოსლის და საჩოხე შალის მოქსოვა არ ცოდნოდეს. თვითონაც იცავდნენ, იხურამდენ და კაცებსაც აცმევდენ თავის ხელის ნაწარმოებს.

შეძლებულ კაცს, მეფე სოლომონ პირველის დროს, არ შეეძლო, რომ თუ იმერეთში გაკეთებული არ იყო, ეყიდნა სხვა ქვეყნის ფარჩა, მაუდი ან რამე და ჩაეცვა. ამ მხრით დაკმაყოფილებული იყო იმერეთი.

მაგრამ ერთი რიგიანი სახლის აშენება რომ ნდომოდათ, უსათუოთ სამზღვარ გარეთელი კაცები — ბერძენი ან რამალო უნდა მოეყვანათ და აეშენებინათ სახლი და ამითი ჩვენი ფულადი გადიოდა სამზღვარს გარეთ.

ამ ნაკლულევიანების მოსასპობე-

ლად ლანდია თათრებში წაიდა და ისწავლა, როგორც შეეფერებოდა მაშინდელ ცოდნას ოსმალეთში, ხის მუშაობა.

ისეთი ხურო შეიქნა და სახარატო ხელობა ისწავლა, რომ პირველი უსტაბაში იყო მათში.

როდესაც დააკმაყოფილა თავისი სურვილი, გამოიქვა და მოვიდა რაჭას. შეუყარა თავი შაგირდებს და იწყო სწავლება; ისე დაასწავლა რაჭველებს რიგიანი სახლის ანუ როგორც ეძახიან ჩვენში ოდის აშენება, რომ მთელ საქართველოში იმათ დაიწყეს მუშაობა.

ლანდია იმოდენათ ქებული შეიქნა საქართველოში, რომ მისი სახელი წოდებითად შეიქნა: ყოველი კი რაჭველ ხუროს „ლანდიას“ ეძახიდნენ, როგორც რომ დღესაც ეძახიან კი მესტიერის — „ბლიაძეს“, კას

გორ მოიქცენ, რომ მრევლს მარჯვეთ გაზარდონ თავიანთი შესახედრი პური, ფული და სხ. არა, მე სრულდებიდ ასე არ მოვიქცევი; ამ გვარი ქცევა ძრიელ წინააღმდეგია მღვდლის თანამდებობისა. მე გარდა იმისა, რომ ყოველთვის თავის ღრობედ შევასრულებ საღმრთო წესებს და ვიტყვი ყოველს დღესასწაულში ქადაგებებს შესახებ ხალხის საჭიროებისა, პირველი ჩემი მეცადინეობა ის იქნება კიდევ, რომ გაემართინო ხალხს შკოლა, რადგანაც ის არის პირველი წყარო კაცის კეთილდღეობისა, და ხალხიც იმგვარს ჰპოვებდ დაეყენო, რომ ყველამ ყმაწვილი მიიბაროს. ამან, ჩემო ძებო, მგონია ბევრი უშეულო ხალხს და ჩქარა გამოიყვანოს გონებითი სიბნელიდან, რომელშიაც ეხლა ასე ღრმად არის ჩაფლული. მიხედვით ამას უნდა ვთქვათ:

მეორე უპასუხებდა: „შენი ქცევა ძალიან კარგი იქნება. ბევრს სარგებლობას მოუტანს ხალხს და მეც მაგ ჰპოვებს ვარ; მაგრამ მაგეებს კიდევ მე ამას დაუმატებ: ვეცდები, მოვსპო იმ პირების მოქმედებანი ხალხზედ, რომლებიც ეხლა ასე უღმერთო სარგებლით ასე სხებენ ფულებს და ამ გვარად ყულებენ უიმისათაც შევიწროებულს ხალხს. შჩვენებ იმ გვარ სახსარს, რომელსაც იმათ გაქარვების ღრმს მიმართონ ხოლმე, ე. ი. ვეცდები გავმართინო სასოფლო ბანკი.“

მესამე ამბობდა: „მე მაგეებს აი კიდევ რას დაუმატებ: გამოვიწერ კარგს გაზეთებს; ამოვარჩევ ხალხის საჭიროების შესახებ სტატიებს და უქმე დღეში, რომ სასოფლოზედ ხალხი შეიკრიბება ხოლმე და უბრალო ლაპარაკში ატარებს ღრმს, გამოვალ და იმ სტატიების შინაარსს გარდავეცე. ეს იმათ ბევრს სარგებლობას მოუტანს; გარდა იმისა, რომ სხვა და სხვა ცნობებით გამდიდრდება მათი გონება, შკოლის საქმეც ბევრს უშეულის; იმათში გაიღვიძებს სწავლის

სიყვარული და ისინი მაშინ უფრო ერთგულად შეუდგებიან შკოლის საქმეს.“

ამ გვარივე კარგი და პატიოსანი სიტყვები ისმოდა სხვა მოწაფეებისაგანაც. რას მიბრძნებთ ამასე? ბანა რომ კეთილ-სამიედო სიტყვებია და მე არ მოგტყუებულეარ, რომ ალტაცებით წარმომიტყეამს: ნეტავი იმ ხალხს—მეთქი და სხ.?! ასე დიდ იმედს იძლევიან ჩვენი მომავალი მღვდლები შკოლაში და აბა ახლა გავშინჯოთ, ცხოვრებაში ასრულებენ იმ იმედებს თუ არა.

საკმარისია ერთი თვალი გადავავლოთ იმათ ცხოვრებას, რომ ჩვენი ალტაცება მოისპოს.

ის, რომელიც იმედს იძლეოდა, რომ ყოველს დღესასწაულში ქადაგებებს ვიტყვი და კარგ შკოლას გავმართავო, მღვდლობაში ვხედავთ, რომ წელიწადში ერთხელაც არ ამბობს ქადაგებას.

ხოლო რაიცა შეეცება შკოლას, იმან არამ თუ თვითონ გაამართინა, არამედ გამართულსაც, დაუდევნელობისა და სიზარმაცის გამო, ვერ უგდო ყური რიგიანად და ამგვარად შეიქმნა იმის მოშლის მიზეზი. რა იყო ქანეთში შკოლების მოშლის მიზეზი? ნუ თუ ის არ იყო, რომ მღვდლები ჯამაგირს კი იღებდნენ და შკოლებისთვის კი ცოტა სარგებლობა მოჰქონდათ! თუკაც უკანელი კორრესპონდენტი „ღროების“, მე-№ 58-ში ამბობს:

„ძახელ მღვდლებს ჰქონათ შკოლები და ყმაწვილები თურმე კარგს ქართულს და რუსულს წერა-კითხვას სწავლობდნენო. მაგრამ იმ მიზეზითო, რომ სიღნაღში პროგინზია უნდა გაიხსნასო, ამ გვარი შკოლები, ყველასთვის მოუშლიათ.“

მაგრამ ეს გარდმოცემა კორრესპონდენტისა სრულიად ფაქტი არ არის: მართალია, კახელ მღვდლებს შკოლები ჰქონდათ, მაგრამ ისინი არამ თუ კარგს რუსულს და ქართულს წერა-კითხვას, არამედ მარტო რიგიან ქართულს წერა კითხვასაც არ აწავლიდნენ, გარდა ორიოდ შკო-

ლისა. ამისათვის შკოლების გაუქმების უმთავრესი მიზეზი პროგინზიის გახსნა კი არ იყო, არამედ ის იყო, რომ მთავრობამ არა ნახა ის შკოლები კეთილ-სამიედოთ და სასარგებლოდ.

აბა რა უნდოდათ იმ დალოცვილს მღვდლებს, რომ რიგიანათ ყური ეგდოთ შკოლებისთვის, თვითონაც ესარგებლნათ და ხალხისთვისაც არ მოეკლოდ ეს ძვირფასი საუნჯე! ზოგი მღვდელი ოცდახუთმეტს თუმანს ჯამაგირს იღებდა და ეს ცუდი იყო მათთვის? ცოტა შეშწივობას მისცემდათ მათ?!...

ის, რომელიც გვპირდებოდა გამოვიწერა კარგი გაზეთები, ამოვარჩინა ხალხის საჭიროების შესახებ სტატიები და გარდაეცა ხალხისთვის, მღვდლობაში ვხედავთ, რომ ერთთერთი გაზეთი გვაბადია და იმასაც არ იწერს. ბევრმა სემინარიის კურსს შესრულებულგებმა მღვდლებმა სახელიც არ იცის ჩვენი გაზეთისა! მაგრამ ამას რას ვამბობთ! ნეტავი, რაც სწავლა შკოლიდან გამოაქეთ, იმასაც არ იციყვებდნენ, თორემ გაზეთის გამოწერას ვინღა მოითხოვს მათგან...!

ის, რომელიც გვპირდებოდა მოვსპო იმ პირების გაელენა ხალხზედ, რომლებიც უღმერთო სარგებლით ასეხებენ ფულებს და გაემართინებინათ ბანკი, მღვდლობაში ვხედავთ, რომ თვითონ უარესსა სჩადის. რაიცა შეეცება ბანკს, მისი გამართვისთვის ძრიელ თავს არ იწუხებს.

მე არ შევალ მის განხილვაში, თუ რა მიზეზია, რომ შკოლაში კარგს იმედს იძლევიან ჩვენი მომავალი მღვდლები, მაგრამ ცხოვრებაში კი სულ სხვანაირად იქცევიან...!

მხოლოდ ის კი უნდა მოგახსენოთ, რომ არავინ ვარდება ისე პასუხის გებაში წინაშე ღეთისა და ხალხისა, როგორც მღვდლები, მისთვის რომ ჩვენი ხალხის ყოველგვარი დაჩაგრულობისაგან აღდგენა ისე ამ ქაშად არავის არ შეუძლია, როგორც ნასწავლ სამღვდლოებას, რომელიც ხალხში სცხოვრებს, რო-

მელსაცამ ხალხზედ შეუძლებელია მოგვლენა ჰქონდეს. ...
ღარწმუნებული ვარ, რომ ბევრნი მღვდლები გრძნობენ თავიანთი თანამდებობის მიზნიდან გადასვლას; მაგრამ მაინც დამნაშავეთ არ რაცხვენ თავიანთ თავს და მზათ არიან წარმოგიდგინონ თავის გასამართლებელი მიზეზები.

რამი მდგომარეობენ ეს მიზეზები და რამტელად ამართლებენ ჩვენ მღვდლებს, ამასე შემდეგში ვილაპარაკებთ.

წამოჩინდესად ვსთხოვთ იმ ჩვენს ხელის მომწირლებს, რომელთაც უარსანდელი ანუ ვლანდელი გაზეთის უშლი ჯარ არ შემოუბანიათ, რაც უმიძღვება ვალე შემოიბანონ.

„ღროების“ კორრესპონდენსია

მუთათის რკინის გზის სტანციად, 8 ივნისს
ღმერთმან ხომ კი იცის, რომ სანამ დიანთ ძლიერ არ დამატარა მზის სხივებმა და მოთმინებლად არ გაომიყვანა, ხმის ამოდება არ მიხდოდა. მაგრამ საქმე აი რაში იყო და რამ მაიძულა ხმის ამოდება.

ღანიშნულ ღროზე თუილისში მიმავალ მგზავრება თავი მოვიყარეთ იმ რკინის გზის სტანციაზე, რომელსაც „მუთათის“ უწოდებენ. მანც ყოფილა ამ სხენებულ სტანციაზე, ეცოდინება, თუ იმის გარშემო რა საჩრდილებელი ალაგებია: თავის დახრჩობა რომ გინდოდეს, თოკის ჩამოსაბმელ ხეს ვერ იპოვნი.— თორმეტი საათის დასაწყისამდინ, როდესაც მატარებლის მოვლის ღროა, დაეხეთილობდით სტანციის გარშემო, სადაც მზის პირდაპირ მაყურებელი სხივები ზედ კოსროზე დაგჩერებოდა.

მოსვლის ღრომ რომ გარდააცილა, ვიკითხეთ სტანციაში დაგვიანების მიზეზი.— ცნობა მიღებული გვაქვსო,

პურის მკელს— „თაბაგარს“ და მოქიდავე ფალავანს— „ხიზამბაროს“ *). ადგილის სიმცირის, სიმწირის და სიძვირის გამო, რაქველები დადიან მთელს საქართველოში და მუშაობენ, ხურაობენ. შინაური მუშაობა: ხენა, თესვა, მკა, ლეწა, დაქევა, გამოცხობა— ეს ყველა ქალებზე არის დამოკიდებული...

ღანიშნულ დასწავილა და გაზარდა ეს ხალხი, იმან უჩვენა გზა. ღანიშნულ ჩამომავლობა დღესაც განსხვავებული არიან პატიოსნებაში.

ბატონები

მართხელ მოდის გზაზე იპერეთის
*) ბლიაძე ძველათ განთქმული საზანდარი ყოფილა, თამაგრები გვართ კაი პურის მკელები არიან საწერებლო გლეხები ს. წირქვალს. ხიზამბარი სოფელი ანალიციხის მახლობლათ, სადაც ყველა მცხოვრებლები გამოჩენილი ფალავანი არის.

მმართველი და თან ახლავს რამოდენიმე თავად-აზნაური.

მზის პირათ, ტყეში, დინახა ერთი გლეხი კაცი, რომელიც დამჯდარა და მწარედ სტირის. მართველმა შეჩერა ცხენი, დაუძახა მტირალ გლეხს და ჰკითხა მიზეზი ტირილისა. გლეხმა მო ხენა:

— ბატონებმა, შენი ჰირიმე, მისი სახელი დაილოცა. შეილი მომიკლეს! როგორც მოგესხენებათ, შენი ჰირიმე, მშობლის გული, ვეღარ მოვიტოვნი, არ გამახსენდა, რომ სახლში ბატონები გვიდგია, დაეწყე ტირილი, ერთი ვაი-ვაგლახნი. ეს ბატონებმა იწყინეს, როგორ თუ გაზედე ტირილიო, გამოყარა იმ ღამესვე მეორე ჩემს ბოცმს და გათენებამდი თქვენი ჰირი წაილო. მხლა, შენი ჰირიმე, გულმა არ მომიტოვინა ორი შვილის დამკარგავ მამას, წა-

მოვედი სოფლიდან და მოვეფარე გზის პირათ და ეტირი ჩემს უბედურებას, ერთი გული მოვიოხრო ტირილით, ცოდვა არ მეკითხოს, სახლში არ ჩამომვარდეს თვალზე ცრემლი, არ გამიწყრნენ ბატონები. მართი ბლარი დამრჩა კიდევ, ისიც არ წამართვას მე უბედურს... საღამოს მივალ თუ არა შინ, ფართხვით შემოუვლი, ძღვენს მივართმევე, მისი ბატონობა დაალოცა და გათენებამდი ჩონგურით და სიმღერით მოუღებენ.

მართველი მიუბრუნდა თარჯიმანს და ჰკითხა. (თარჯიმანი ცოტა სუსტათ განლდა რუსულ ენაში, იმერთი ახლად მიღებული იყო რუსეთის მფარველობის ქვეშე). თარჯიმანმა სიტყვა სიტყვაზე უთარგმნა. მართველი გაცხარდა მწარედ, რადგან მართლა ბატონი ეგონა, და ჰკითხა ხლებულებს:

— მართალს ამბობს ეს კაციო? რამოდენიმე პირმა დაამტკიცა, რომ ნამდვილათ იციან, რომ ბატონები უდგიათ მაგათ სოფელში და ყმაწვილებსაც ხოცსო.

ბარისხებულმა მმართველმა სთქვა, რომ ამისთანა ბარბაროზობა უნდა მოისპოს, ღრო არის ეხლოა და ჰკითხა გლეხს სახელი და გვარი იმისი და ბატონის, გლეხმა მოახსენა.

ამის შედეგ მმართველი წავიდა, და უბრძანა სეკრეტარს, რომ ოქმი შეადგინოს. შეადგინეს ოქმი ამ საქმეზე, გააკეთა ბრძანება, გაუკრეს გლეხის საწყალ ბატონს ხელები, ჩამოათრიეს მუთათისში და ჩასვეს სიპატიმროში. ეს აზნაური-შველი კინაღამ დაკარგეს. მაგრამ იმის და საბედნიეროდ, აიხსნა შემდეგში, რომ ეს უმოწყალო „ბატონები“ ყოფილა ავითმყოფობა ყვეილი და არა ნამდვილი ბატონი...
სხვიტორელი



გეთხრეს, მაგრამ თქვენთვის საიღუმ-
ლო არისო. მიცი, რომ ტელეგრაფით
მოსულ ამბებს ასე ვაგლახათ არ ამე-
ლაინებენ; მაგრამ ამ შემთხვევაში მა-
ინც ამ საიღუმლოს დაცვა ახირებული
გამოდის—რადგან დაცვა შეუძლებელ-
ია—შოთილამ მომავალნი: თუ ჩვე-
ნამდინ კი მოაწვედნენ, ალბათ ამბავ-
საც მოგვიტანდნენ.

სოტა არ იყო იმედ-დაკარგულ-
ნი, რომ ჩვენ დღეს ოფილისში გა-
ვემგზავრებით, მოვმარდით სტან-
ციის ზედამხედველს. აქსობაში დრო
მიდის, თორმეტ საათსაც გარდაცი-
ლა. მივადიქით ისევ სტანციის ზე-
დამხედველს, მაგრამ რა მოხდა, რა
მოუვიდა გზას ან მატარებელს, იმი-
სი არაფერი არ გეთხრა, თუმცა და-
გვაიმედა კი, რომ ხუთს საათამდინ
„იმედია“ გავალთ აქედამო.

წარმოადგინეთ ჩვენი მდგომარე-
ობა: ზევიდამ მხე, ქვევიდამ ამ მზის
სხივებით გახურებული ნიადაგი და
ამასთან ცოტა არ იყო მუცლის
წრიალიც.

მუთასში დაბრუნება აღარ მო-
ხერხდებოდა, რადგან შოთილამ მო-
მავალი მგზავრების მოლოდინე ფე-
ტონებით ჩვენზე ახირებდნენ ჯაფ-
რას ამოყრას. მარდაესწყვეტეთ რამ-
დენიმე პირთა იქვე სტანციასზე სა-
დილობა და ხუთს საათამდინ მოც-
და... მასადილეთ ცოდვა-მადლით
სადაც მუხის ძირში და ნასადილევს
ერთი ადგილიდამ მეორე ადგილამ-
დე თავ-შესაფარებელი ჩრდილის ძე-
ბნაში ხუთი საათიც კარზე მოგვად-
გა. ლოკომოტივის სტვენა მანც
არსადამ იმოდა.

ბოლოს—მეექვსე საათზე შერი-
ლადამ საჩქარო მატარებელით თეი-
თონ გზის გაშვებულმა—ბუნგემ ჩა-
მოიარა მუშებით. —რა ამბავია, რომ
ეკითხეთ, გაოჩნდა, რომ შალა-დი-
ლის სტანციასთან შოთილამ მომავა-
ლი საქონლით მატარებელი სციმია
კამბეჩს, რამდენიმე ვაგონი გადაბრუ-
ნებულა და რელსებიც აუყრია გზა-
ზე.

ამ მიზეზით ჩვენი წაშკანი მატა-
რებელი თურმე სრულებით არ გა-
მოაულა შოთილამ და ჩვენ კი ხუთს
საათზე მოველოდით! — ბუნგემაც
იმედი დაიბარა და სტვენით გასწია
თავის მუშებით, რომ გაფუჭებულ
გზას აღრე მივეწველო... არ გასუ-
ლა ერთი საათი ბუნგეს ჩაეღის შემ-
დეგ განცხადება გამოჰკიდა: „დღეს,
8 ივნისს, მატარებელი № 1 სრუ-
ლებით არ გამოიღოს შოთილამ.“ ამ
გვარი მკაცრი განცხადების შემდეგ
გერჩებოდა მხოლოდ, რომ ისევ
მშვიდობით დაებრუნებულეყავით
მუთასში.

მსეც აგრე; დილით აღრე გზა გა-
ფუჭდა და სტანციასზე მატარებელ-
ის მამლოდინეთ, დაყრილ, ხმას
მხოლოდ შეიღს საათზე სალა-
მოს ატყობინებენ, რომ დღეს შო-
თილამ ოფილისში მატარებელი არ
აიეღისო.

წერილი რედაქტორთან

შუალო რედაქტორ!

ბთხოვთ ამ ჩემს წარმოგზავნილს
სტატიას მკირედი ადგილი მისცეთ
დასაბეჭდავთ გაზეთ „დროებაში“.

მე წაეკითხე „დროების“ მეორე-
მოცდა მეთხუთმეტე ნომერში ფელ-
ტონი „ჩვეულებრივი შემთხვევა“
უფ. პატრი პანტულასი, შესახებ მა-
მიჩემის თ. ლუარსაბისა...

ახლა მე მინდა ეკითხო „დროე-
ბას“—თუ რას ნიშნავს ესე მისი წი-
ნა-დაუხედაობა, რომ „დროებას“
გამოუყვლია თავის ხასიათები და
ერთბაშათ დიდს ცუდს მზრუნველ-
ბას შესდგომია.

„დროების“ ჰაზრით, როგორც
ჰსჩანს ქართულს გაზეთში მეორე-
ცდა მე თუთხმეტე ნომერში, ამ გვარს
ფელტონებს როგორც უფ. აეტორს
არა ვითარიმე სარგებლობა არ მო-
აქვს: არც თავისთვის არც საზოგა-
დობისთვის და არცა რედაქციის-
თვისა და მოვალენი ხართ ამნაირ
კრუ პოეტების გამოგზავნილი ფელ-
ტონები უყურადღებოთ გაუშოთ
ხოლმე; ვგონებ რომ რედაქციას გა-
მოუცლია, ამ გვარი ფელტონებისა
და სტატიების ბეჭედა, იმით რომ სუ-
სტმა კრუ პოეტმა არა ვითარიმე ვე-
ბა, ზაკვა და ჭუჭყი რედაქციას არ
მიაცხობს.

ჩემის მხრივ განგიცხადებთ გულ-
ლიადს მადლობას უფ. რედაქტორო,
რომელსაც უკეთესად დავაფასებ ამ
ნაირ თქვენს შრომებს და მასთან-
ვე გირჩევთ მოიპოვოთ ორი, ანუ
ერთი მანც ამხანაგათ, როგორც უ-
სახელო, უგვარო, უაზრო, უსაგნო,
და უიდეო აეტორი ფელტონისა
„ჩვეულებრივი შემთხვევისა“, რომ
უკეთ წაიღეს გაზეთი „დროება“,
თორემ მართა ამნაირ მძიმე მწერ-
ლობა და პოეტობა დიდათ გაგიჭი-
რებთ და თუ უფ. რედაქტორი ამ
ჩემს რჩევას ჰასრულებს საზოგადოე-
ბა არ დაზოგავს ამნაირ ფელტონე-
ბის გამოცემის გულისთვის გული-
თადს მადლობაებს *).

თ. დ. ლ. ამილახვარი

თბილისის მ-სა

*) შეუცვლელად ვბეჭდავთ ამ წერილს.
როგორც ვხედავთ, თ. დ. ლ. ამილახვარს
გულსმოდინეთ არ შეუსწავლია არც ქართუ-
ლი ენა და არც ლოლიკურად აზრის გამო-
თქმის ხელოვნება. მაგრამ, როგორც იყო,
თ. ამილახვარის საზოგადო ჰაზრს მანც მიე-
ხედით: ერთის მხრით გვიწყრება, ვითომ,
იმისთვის რომ იმის მამას შეგვხვეთ, და მე-
ორეს მხრით დაცინებით რჩევას გვაძლევს,
თუ როგორ მოვიპოვოთ ჩვენი გაზეთისთვის
თანამშრომლები.

ამ უკანასკნელი რჩევისათვის მადლობას
მოვახსენებთ და თან გამოუცხადებთ, რომ
ძლიან სამწუხაროა ჩვენთვის, რომ იმ
განგებულ რჩევით ვერ ვსარგებლობთ. რაი-
ცა შეგება საყვედურს, რომ ვითომ „ჩვე-
ულებრივი შემთხვევის“ აეტორი იმის მამას
შეგნო, ამაზე აი რა უნდა მოვახსენოთ: ჩვე-
ულებრივი შემთხვევა მოთხრობაა. იმამი
არც ადგილია მოხსენებულ—თუ სად მოხდა

ეს ამბავი, არც დრო—როდის მოხდა და
არც გმირის სახელი და გვარი. სწერია მხო-
ლოდ ლუარსაბ; და ნუ თუ თ. დ. ლ.
ამილახვარი ჰფიქრობს, რომ ლუარსაბ ჩვენ-
ში იმის მამის მეტა არავისა ჰქვია?

მიმეორებთ—ეს უბრალო მოთხრობაა და
ეს ამბავი ჩვენში ყველგან შეიძლება მოხ-
დაიყოს.

შოველს შემთხვევაში, გთხოვთ დარწმუ-
ნებული ბრძანდებოდეთ, თ. დ. ამილა-
ხვარო, რომ ჩვენ გაზეთში არასოდეს კერძო
პირების შეურაცხუფას არ მივსდეთ და მუ-
დამ მხოლოდ საზოგადო მოვლენა გვაქვს
სახეში.. რედ.

რუსეთი

რადგანაც შენიშნულია, რომ
ყველაზე უფრო ხშირად სხვა და სხვა
ქარი და ავანთყოფობა იმ ქალაქებ-
ში ხდება, სადაც უფრო ბევრი ქარ-
ხნები და ფაბრიკებია, ამის გამო ლ-
მალღესი მთაფრობა ისეთი წესდების
გამოცემას აპირებს, რომლის ძალი-
თაც განსაზღვრული იქნება, თუ რა
გიგიფური პირობით უნდა იყოს
აშენებული ყოველი ქარხანა ან ფა-
ბრიკა. შურადღება ექნება მიქცეუ-
ლი, აგრეთვე იმ გარემოებასაც რომ
ქარხნებისა და ფაბრიკებისაგან მდი-
ნარები არ გაფუჭდეს და ამათ მცხო-
ერებლებს არ ევენოს რამე.

სენატში გაარჩიეს ამას წინათ
რიაზანის აღრინდელი ლუბერნატორის
ბოლდარევის საქმე, რომელსაც აბ-
რალდებდნენ, რომ ერთს მწყემს სცე-
მა ისეო, რომ მოჰკლო. სენატო-
რების ხმები ისე გაყოფილა, რომ
გარდაწყვეტილება ვერ შემდგარა;
ამის გამო საქმე სენატის საზოგადო
კრებაში გადაუციათ; აქც 20 ხმა
ბრალდებულის სასარგებლოთ ყო-
ფლა და 6 წინააღმდეგი. ახლა ეს
საქმე იუსტიციის მინისტრს აქვს წარ-
დგენილი, რომელმანც თავის განჩი-
ნება უნდა შეადგინოს.

მართი რუსული გაზეთი გვაც-
ნობებს, რომ რამდენიმე კერძო პირ-
ნი ისეთი დრამატიულ შკოლის გა-
მართვას აპირებენ პეტერბურშიო,
სადაც ნიქერი ყაწვილები სცენის-
თვის (აქტიორად და აქტრისად) მო-
ემზადებიანო. ამ შკოლაში სწავლი-
სთვის წელიწადში მხოლოდ 15 მა-
ნეთს გადაანდევინებენო.

შარიმის თათრები, როგორც
მკთხელომა იცის, მთაფრობამ გაან-
თავი-უფლა სამხედრო სამსახურისა-
გან, მაგრამ იმ პირობით, რომ იმათ
არტელები უნდა შეადგინონ და
მთაფრობისაგან დაყენებული კაცების
ხელ-მძღვანელობით, შარიმის უდბ-
ნო და უტყეო ალაგებში ხეები უნ-
და დაჭრან. სახელმწიფო ქონების
სამინისტროს გუგზავნია ახლა ში-
რიმში სწავლული ტყის მომგლევი,
რომელმანც ეს საქმე უნდა ითავოს.

დასავლეთი სიმბირის ახალ-
გუბერნატორს ქალაქს ტიუმენში
გუგლის დროს, წინადადება მიუცა

იქაური საზოგადოებისათვის, რომ
გიმნაზია გახსნან. საზოგადოება იმ
წამსვე დიდის კმაყოფილებით დათან-
ხმებულა და ერთს იქაურს ეაქარს
პირობა მიუცია, რომ სახლს გიმნა-
ზიისათვის მე ჩემის ხარჯით ავაშე-
ნებო.

პეტერბურის ვაჭრებს თავის
ხარჯით ისეთი საეაქრო სასწავლე-
ბლის გამართვა გადაუწყვეტიათ, სა-
დაც ყველა იმ საგნებს ასწავლიან,
რასაც გიმნაზიებში; მაგრამ განსაკუ-
თრებული ყურადღება ეაქურთ ან-
გარიშა (ბულგალტერიას) და უცხო
ენების სწავლას ექნება მიქცეული.
ამ უმაღლესს საეაქრო სასწავლებელ-
ში სწავლა ათ წელიწადს გავრძელ-
დება.

უსხო ქვეყნები

საშარანში. პარიში გარდაი-
ვალა ამას წინათ გამოჩენილი ორ-
ლეანისტი დეპუტატი—შარლ რემიუ-
ზა, რომელიც ამ უკანასკნელ წელი-
წადს რესპუბლიკას მიემხრო. ნაციონ-
ალური ძრების თავსჯდომარემ, გერ-
ცოგ ოდიჭჭრე პაკემ, ამის თაობაზე
წარმოსთქვა სიტყვა ძრებაში, რომ
მელშიაც, სხვათა შორის, შემდეგი
ალაგებია: „შარლ რემიუზას სიკედი-
ლი როგორც ჩვენთვის—იმის ახმა-
ნაგებისათვის, აგრეთვე მთელი საფრან-
გეთისთვის სამწუხაროა. თავის ხან-
გრძლივი სამსახურის დროს, როგორც
დეპუტატი, როგორც ყურნალისტი,
მინისტრის ამხანაგი და შინაგანი საქ-
მეების მინისტრი, ის მუდამ პატრონა-
ნი იყო, მუდამ პროგრესისა და ლი-
ბერალური აზრების მომხრე. იმპე-
რიამ საფრანგეთიდან განდევნის ღირ-
სება მიანიჭა“. ამ უკანასკნელმა სიტ-
ყვამ ალტაცებაში მოიყენა თითქმის
მთელი კრება. ბონაპარტისტები კი
ძალიან გაანხლდნენ; არ მოეწონათ ის
ჰაზრი, რომ ნაპოლეონისაგან მიყე-
ნებული დასჯა კაცს ღირსებათ უნ-
და ჩაეთვალოსო. ამ ოდიჭჭრე პა-
კივს სიტყვაზე ახლა ძალიან ბევრს
ლაპარაკობენ ფრაცუზული გაზეთე-
ბი.

სხვა და სხვა ფრანსიურ კანონე-
ბის მიღების შემდეგ, ნაციონალურს
კრებაში დაუწყიათ სჯა უმაღლესი გა-
ნათლების თავისუფლების თაობაზე.
ამ საგნის განსახილავად ცალკე კა-
მისია იყო დანიშნული, რომლის
ერთმა წევრმა ლაბულებ გამოუცხა-
და კრებას კომისიის ჰაზრი, რომელიც
იმაში მდგომარეობს, რომ უმაღლესი
(უნივერსიტეტის) განათლება სრუ-
ლებით თავისუფალი უნდა იყოსო;
რაც უფრო შევიწროებულა უნივერ-
სიტეტებში სწავლა, რაც უფრო გაფ-
რევა ამ სწავლის საქმეში მთაფრობა
ისე უფრო დეცემა საფრანგეთის მე-
ცნიერება და იმის წარმომადგენელი
უნივერსიტეტიო. ლაბულებს ჰაზრი
ტაშის კვიით მიიღეს მარცხენა მარის
დეპუტატებმა.

გმრმანია. პრუსიის შფალთა პა-
ლატას შეუცვლელად მიუღია ის კა-



ნონი, რომელიც დეპუტატების პალატამ დაამტკიცა და რომლის ძალითაც საეკლესიო ქონების გამგეობაში სანდუდლო პირებს თავსმჯღამარეობა ჩამოერთმევით. შემდეგში საეკლესიო ქონებებს ადგილობრივი საზოგადოებისაგან ამორჩეული რჩევა განაგებს.

ქრონიკა

13

ქართველნი სეზოსტრისის დროს

ამავე საქართველოში დარჩენილ ეგვიპტელებზე, მე-V საუკუნეში შრის. ღაბ. წინ, დასწერა ისტორია ლეროდოტმაცა. იი იმისი სიტყვები, მოყვანილი ბაქრადისაგან: „მე გამოვიკითხე, ამბობს ლეროდოტე, კოლხიდელებსაც და ეგვიპტელებსაც, ორნივე ამ პაზრისა არიანო. ეგვიპტელები იტყვიანო, რომ კოლხიდელები შთამომავლობენ იმ ეგვიპტელების კოლონიისაგან, რომელიც სეზოსტრისის დაუსახლებია კოლხიდაში. ამას ამტკიცებს იხათი შავი ფერი, ხუჭუჭი თმა და წინა-დაცვეთა, რომელიც ჩვეულებად აქვთო კოლხიდელებს, ეგვიპტელებს და მეთიოპელებს, და აგრეთვე ერთგვარი სელოს მოყვანა და შემოშვება როგორც ერთის ტომისაგან, აგრეთვე მეორისაგან. (იხილეთ „საქართველო“, გვ. 44).

ზოგიერთნი ისტორიის გამომკვლეველნი პირველნი ეფუძნებიან ბეროდოტის ამ სიტყვებს და ამბობენ, რომ კოლხელნი ეგვიპტის ჩამომავალნი არიანო; მაგრამ ეს მართალი არ არის: თუ მართალი ყოფილიყო, ერთ-მეცნიერება აქამდე დაამტკიცებდა, რომ ქართველები სემიტურს შთამომავლობას ეკუთვნენ.

ნამდვილია მხოლოდ ისა, რომ საქართველოში დაშენილ ეგვიპტელებმა ლეროდოტის დრომდე თავის ეგვიპტურ ჩვეულებებს თავი არ დაანებეს და მასზე დიდი გავლენა ჰქონდათ; მაგრამ დროს და დროს განმავლობაში ქართველების შთამომავლობამ იმათი გვაროვნება ჰძლია და სრულიად გაიერთა. ეგვიპტელთა შვილთა დაივიწყეს ყოველნი ჩვეულებანი გვარულებათნი თვისნი და მიიღეს ჩვეუ-

ლება ქართლისიანთა, ამბობს თეიმურაზი.

იგივე თეიმურაზი სწერს, რომ თუმცა მახუშტისა და მახტანგის მითანებში ეგვიპტელების საქართველოში ყოფნაზე არა არის რაღაც; მაგრამ საქართველოს მათალიკოზმა ანტონი მე-II-მ, 1822 წელს, თავის პეტერბურღში ყოფნის დროს არსენი დიდის ქათალიკოზის მათინესაგან გამომაწერინა ისტორიული ფაქტები და იქ არსენი სწერდაო, რომ „სეზოსტრისისა ისტორია ვაოველიდესა მათინესა შინა ძველსა ჩვენთა მემბტიანეთა აღმწერელთაგანა.“

ამ სახით მივიღებ რა ეგვიპტელების საქართველოში ყოფნას ისტორიულ ფაქტად, დავასკენი, რომ ეგვიპტელებს ქართველებისათვის არამც თუ არაერთი ზარალი არ მიუციათ, არამედ მათთვის დიდად სასარგებლოც იყვნენ, თუ რომ, როგორც ამბობენ მრავალნი, ქართველმა ხალხმა იმ ლექსით, რომელსაც ქართველი ქალები მშობიარე დედაცს უგალობებენ, სეზოსტრისს, და მით მოიგონებენ იმის ჭკუას, გულკეთილობას, მამაცობას და ხალხისათვის გულშემატკივრობას.

აი ეს ლექსი:
 „მზე დაწვა და მთავრე შობა,
 მზე შინ შემოდო;
 მაყის მამა შინ არ არის,
 მზე შინ შემოდო;
 შალაქს არის აკვნისათვის,
 მზე შინ შემოდო;
 აკვნის იარალისათვის,
 მზე შინ შემოდო;
 მზე შინა და მზე გარეთა,
 მზე შინ შემოდო.“

ამბობენ, რომ, რადგან სეზოსტრისის ძალიან კარგი კაცი იყო და იმის ნამდვილი სახელი იყო რამზესი, ამისათვის ქართველებმაც ციურს მნათობს მზე დაარქვესო. თუ ეს მართალია, მაშ მე ვიტყვი, რომ ამაზე წინ მზეს ქართულად ერქვა „თინა“. თინა ნიშნავს მზეს ანუ მზის სხივს. „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინებდა,“ ამბობს პოეტი რუსთაველი.

ინგილო ჯანაშვილი

ნარკვი

ნიუ-იორკიდან იწერებიან, რომ ახალ-ზრანდაში ამას წინათ ისეთი მიწის-ძვრა ყოფილა, რომ ერთს ქალაქში, რომელშიაც 35,000 მცხოვრებელი იყო, ამ რიცხვიდან 16,000 კაცი დაიღუპა.

პარიჟელ ერთს აქიშ მოუგონია ისეთი წამალი, რომლის საშუალობითაც ბრაზიანი პირუტყვის ნაკენს არჩენს. ამ საშუალების გამოსაცდელათ ახლა პარიჟში საუკეთესო ექიმებისაგან კამისია არის შედგენილი, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს და შემდეგ საქვეყნოთ გამოაცხადოს: მართლა ნამდვილია ეს წამალი თუ არა.

მრთს ნემეცურს კარიკატურულ ჟურნალში დახატულია ერთი ძალიან მახილი და მოსწრებული კარიკატურა, რომელშიაც, ბევრის პაზრით, მთელი ახლანდელი მეროპის პოლიტიკური მდგომარეობა იხატება. კარიკატურა სამს ძლიერ მხეც წარმოადგენს: ლომს, ვეფხვსა და დათვს, რომელნიც ბრძოლის ასპარეზზე გამოსულან. დათვი და ვეფხვი ერთმანეთს უღრუნენ და მზათ არიან დეტაკონ ერთმანეთს. მაგრამ ამ დროს წამოიწვეს წინ ლომი და ორივეს შუაში ჩადგება, აზავებს. მათეები ასე ხსნიან ამ კარიკატურას, რომ დათვი და ვეფხვი, რომელთაც მსურთ ერთმანეთს ეცნენ, ბერმანია და საფრანგეთი არისო და გამაზავებელი ლომი კი რუსეთიო..

მდისის ოლქის სასამართლოში გაურჩევიათ იქაურ ვაჭრის („მდისის მოამბის“) რედაქტორის საქმე, რომელსაც აბრალებდნენ, რომ ისეთი ადგილები დაბეჭდა ვაჭრებში, რომელიც ცენზურისაგან ნებადართული არ იყო. სასამართლოს გაუმტყუვნებია რედაქტორი და ამ დანაშაულისთვის ერთი მანეთი ჯარიმა დააუბღვენიებია.

მაისის დამლევს პარიჟში ისეთი სიციხეები ჰყოფილა, რომ როგორც ერთს ფრანკულულს ვაჭრებში ვითხოვლობთ, ერთს დღეს 24 კაცს მოსვლია მზისაგან დამბლა; ერთს ქუჩაში ორი მოხუცებული ცოლ-ქმარი მიდიოდნენ თურმე მკლავი-მკლავში გაყრილნი და ორივე ერთად დაცემულან; წაუყვანით საწყლები შინ, მაგრამ ორივე მოკვდარა.

ამას გარდა იმ ხანებში გერმანიაში ბული ძალეები დაბრუნდნენ რუსეთის ბუჩქებში, და პოლიციის მონიტორები იმულეგული იყვნენ გაბრაზებულ ძალებთან ზოგი კარგა მყოფებიც დაეხივნათ.

ამას წინათ პარიჟის სიხლოვეს, ლონშანის მინდორზე ჩვეულებრივ მარულა ყოფილა გამართული, სადაც უველა შემოღებულნი და გამოჩენილი ფრანკული ესწრება ხოლმე მუდამ. შოველ ამ გვარ შემთხვევას ჯიბის ოსტატებიც ანუ როგორც ჩვენს ქალაქში ეძახიან — ჯიბიგებებიც ესწრებიან ხოლმე. ამ მარულის დროს ერთი ამისთანა ჯიბიგერი დაიჭირეს, რომელსაც ორმოცდაორი პორტმონე (ქისა) უნახეს ჯიბეებშია.

განცხადებანი

ი ს უ ი დ ე ბ ა

ქვეთიმე ხელაძის და ამხ. გამოცემანი:

„სურამის ციხე“ — 20 კ.
 „მეფხვის ტყაოსანი“ უყ. 50
 — — — — — 70
 ლექსები და ანდაზები 5
 საყოველ-დღეო ლოც. 5
 სამიჯნარო ლექსები 5
 მთერინი — — — 5
 მოძრავი ასოები — — 5
 აგრეთვე ისეილება ახლად გამოცემული „მგოსანი“ ლექსები, თქმული ღაით მიევილისაგან, ფასი 20 კ. და სხვა ქართული წიგნები.

შველა ეს წიგნები ისეილებიან თფილისში ქვეთიმე ხელაძის სტამბაში და წიგნების მაღაზიებში, სხვა ქალაქებში „ლოცების“ აგენტებთან.

შუ. ახვლედიანის და ვარლამოვის სარქმოს სარდავში, ისეილება შემდეგი ნაწარმოები:

ტარაკი — გირვანქა — 50 კაპ.
 ნალები — — — — 40 —
 სვეტანა — — — — 30 —
 შველი — — — — 15 —
 ტეაროგი, ხაქო — — — 10 —
 რძე — — — — 5 —
 მაწონი — — — — 5 —

სარდაფი იმყოფება მრეწვის მედანზე, სემინარიის პირდაპირ, მანდენოვის სახლებში.

კა. გზა.	ლილა.	სალამ.	II კ.	III კ.	საქმის გვერდი	ფოტო	ბირჟა	მან. კაპ	გაზანდა	მან. კაპ
მთილისი . . .	8 18	8 17			ა) შოთიღამ:	ა) მ თ ი ლ ი ს ი დ ა მ:	პეტერბურგი, 5 ივნისს.		მთილისი, 8 ივნისს	
მცხეთა . . .	9 18	10	68	38	მდისისკენ — ორზაბ, დილის მსაათ.	სამზღვარ გარეთ, მუთათისს, რუსეთს	ერთი მანეთი ღირს:		პური შორავლის ფთ.	120
ზორი . . .	11 39	1 43	2 40	1 23	სტამბოლს — კვირაობით დილას.	— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.	ლონდონში 33 1/2 პენსი.		ჭერი ფუთი . . .	60
სურამი . . .	1 52	4 30	3 92	2 18	ბ) სოხუმიღამ:	ოთხშ., მზურგეთს — პარასკ და	პარიჟში 34 9/4 სანტიმი.		ბამბა მრეწვისა, ფუთი . . .	4 50
ბეჭათუბანი	3 45		4 42	2 46	შოთს — სამშაბათს, ღამით.	ორზაბ. ბაქოს — ორზ. სამშაფ. და	მსკონტი(სარგებლისფასი)		— ამერიკისა, ფუთი . . .	6 40
შვირილა . . .	6 49		5 81	3 23	მდისას — კვირას, გათენებისას.	შაბ. ძახეთს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეთი 5%		ბაპინტილი ბამბა ფთ.	8
მუთათისი . . .	7 55		6 75	3 75	შოთიღამ: I II III	ბ) მ თ უ თ ა ი ს ი დ ა მ:	მოგებიანი(პირველისესხი)		მატყული თუშური ფთ.	6 50
სამტრედია . . .	9 2		7 73	4 29	სოხუმამდი . . . 4 3 1	მთილისისა და შოთისაკენ — ყო-	მოგებიანი (მეორე სესხი)		— თარაქამისა ფთ.	3 60
ახ. სენაკი . . .	10		8 57	4 76	მერჩამდი . . . 20 50 15 50 5	ველ დღე, კვირას გარდა. მზურ-	ბირაოს ფურცლები:		აბრეშუმში ნუხური გრ.	2 60
შოთი . . .	11		9 75	5 42	ტაგანროგ. 34 27 8 60	გეთს — ორზ. და პარასკ. ზუგდიდს	მთილ. სააზნ. ბანკისა.		ქონი, ფუთი . . .	4
შოთი . . .	7 38				მდისსამდი. 38 30 9 60	— ოთხშაბ.	ხერსონის ბანკის (5 1/2)		ქონის სანთელი ფუთი.	5 60
ახ. სენაკი . . .	9 11	1 18	66		ტელეგრაფი	გ) ბ ო რ ი დ ა მ.	მოსკოვის (5%). . . .		სტეარინის სანთელი, ფ.	10 20
სამტრედია . . .	10 12	2 6	1 14		მ. ცი სიტყვა მთილისიღამ:	შოველგან ყოველ დღე, კვირას			ხორცი ძროხისა, ლიტ.	65
მუთათისი . . .	11 17	3 4	1 69		მუთათისს, შოთს . . . 1	გარდა.	აკციები:		— ცხვრისა, ლიტრა . . .	75
შვირილან . . .	12 38	3 98	2 21		ბორს, ღუშეთს, სიღნახს	დ) შ ო თ ი დ ა მ:	მდისის სავაჭრო ბანკის.		სპირტი, ვედრო . . .	7
ბეჭათუბანი	3 27	ლაზე	5 33	2 96	ბოსტოვს მდისას მოსკოვს	შოველგან ყოველ დღე, კვი-	შოთი-მთილ რკინ. გზის		შაქარი, კარგი ფუთი . . .	8 40
სურამი . . .	4 57	12 30	5 84	3 24	პეტერბურგს, შარავას . . . 2	რას გარდა.	შაგიზღვის ცეცხ. გემების		— ფხვნილი ფუთი . . .	6 90
ზორი . . .	7 23	3 31	7 36	4 9	მსკალეთში, შვეიცარიაში	წიგნის გაგზავნა რუსეთში:	ტაქვანის და მერკურის . . .		შავა გრვავალი ფუთი . . .	19
მცხეთა . . .	9 52	9 8	5 4	4	იტალიაში და საფრანგეთში	ლა წიგნის 5	პეტერბ. საზღვევ. საზ.		ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	6
მთილისი . . .	10 49	8 29	7 5	4 2	ინგლისში 3 75	დაბეჭდილის (სამი მისხალი) . 10	მოსკოვის საზღვევ. საზ.		მკრო 1/2 იმპერიალი . . .	5 94